უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) პირობები

1. უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) უფლება აქვს სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს ასევე იმ სტუდენტს, რომელსაც რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;

2. უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) უფლება წარმოეშობა სტუდენტს სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ. (სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი);

3. იმ სტუდენტს, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ, შიდა მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები;

4. უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) უფლება ეზღუდება დამატებითი სემესტრის სტუდენტს;

5. პროგრამით გათვალიწინებული გეგმური ვადის ამოწურვის შემდგომ სტუდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა ან იმავე პროგრამაზე გააგრძელოს სწავლება დამატებით სემესტრებში;

6. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტს შიდა მობილობის უფლებით შეუძლია ისარგებლოს ფინანსური ვალდებულების დაფარვის შემდგომ;

7. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტსა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის საგანამანთლებლო პრორგამებზე მობილობის მსურველთათვის აუცილებელია გასაუბრების გავლა. (გასაუბრების ვადების და თარიღების შესახებ ინფორმაცია დამატებით განთავსდება უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე);

8. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე მობილობისათვის გათვალიწინებული იქნება შესაბამისი პროგრამების დაშვების წინაპირობები. ხოლო მობილობის მსურველ მაგისტრანტს, რომელიც ჩაირიცხა 2020 წლამდე შიდა მობილობის უფლება აქვს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ მაგისტრანტებზე, რომლებიც ჩაირიცხნენ 2020 წელს და შემდგომ საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე (მათ არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი);

2026-2027 სასწავლო წლის საშემოდგომო მობილობის ფარგლებში

9. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების გათვალისწინებით, მილევად რეჟიმში არსებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, სტუდენტთა მობილობის წესით მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია სტუდენტისთვის არანაკლებ 45 კრედიტის აღიარება;

10. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტმა განახორციელა საბაკალავრო პროგრამების მოდიფიცირება 180-კრედიტიან ფორმატში, ხოლო არსებული სტუდენტებისთვის კვლავ რჩება 240-კრედიტიანი სასწავლო გეგმა, სტუდენტს მის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობის საფუძველზე, შეეთავაზება შესაბამისი მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამა;

11. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სამაგისტრო საფეხურის პროგრამებზე, სტუდენთა მიღება უნდა მოხდეს მოდიფიცირებამდე არსებული სახით არსებულ 120-კრედიტიან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.